

**სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი სპანდერაშვილის გაწეული  
მუშაობის შესახებ ანგარიში (2021-2022წ)**

2021 წლის 3 დეკემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მეზუთე მოწვევის საკრებულოს წევრი სოფ. საქობოს მაჟორიტარი დეპუტატი.

2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის ოქტომბრის ჩათვლით დასწრებული ვარ საკრებულოს ყველა სხდომას. ვარ ქონების მართვის და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი. ვესწრები კომისიის სხდომებს.

როგორც სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფელ საქობოდან, აქტიურად ვმონაწილეობ სოფ. საქობოში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საკითხების მომზადება-განხილვაში.

სოფელში მთავარ პრობლემად რჩება მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით მომარაგების საკითხი. რომელიც განსაკუთრებით მწვავდება ზაფხულის პერიოდში. ამ პრობლემის მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს უწყვეტი 24 საათიანი წყალმომარაგების სამუშაოები, მაგრამ სამუშაოების დასრულებამდე მუდმივად საჭიროა არსებული ქსელების მოვლაშენახვა. ამ მიზნით სოფ. მაშნაარში საბავშვო ბალთან არსებულ ჭაბურღილზე დამატებული იქნა 25 ტონიანი რეზერვუარი.

წყლით უზრუნველყოფის შემდეგ სოფელში აუცილებელია შიდა საუბნო გზების მოწესრიგება (მოასფალტება). ამ პრობლემის გადასაჭრელად წელს მიმდინარეობს 3 პროექტი. მაშნაარში ჩახნაანთ უბნის მოასფალტება-667 მ. სიგრძის, საქობოში ზორა რუხაძის ქუჩა სიგრძით-660 მ. და გორგასლის ქუჩა სიგრძით-1019 მ.

სოფლის მოსახლეობის მოთხოვნით, სოფლის დახმარების პროგრამით, ხორციელდება გარე განათების სამუშაოები როგორც სოფ. მაშნაარში, ისე საქობოში.

გარდა ამისა მაშნაარის საბავშვო ბაღს ჩაუტარდა ჭერის სრული რეაბილიტაცია რაც სერიოზული პრობლემა იყო აღნიშნული ბაღისთვის წლების განმავლობაში.

სოფ. საქობოში გაიხსნა ახალი მინისტადიონი რაც აქაური ახალგაზრდების წლების ოცნება იყო.

დადიანის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ კორპუსებს ჩაუტარდა ჭერის სრული რეაბილიტაცია, რაც ამ კორპუსის მაცხოვრებლებისთვის წარმოადგენდა დიდ პრობლემას წლების განმავლობაში.

მე, როგორც მაჟორიტარს აქტიური შეხვედრები მაქვს სოფლის მოსახლეობასთან, ყოველდღიურ რეჟიმში ვეცნობი მათ პრობლემებს და შეძლებისდაგვარად ვეხმარები მათ ამ პრობლემების მოგვარებაში.